სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის მისია, დღიდან დაარსებისა (1956 წელი), არის მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვა და სხვადასხვა დარგისთვის აქტუალური საკითხების შესწავლა-დამუშავება, რომელთა კვლევაც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ინსტიტუტის მიზანია სამეცნიერო კვლევების გაღრმავება და ხარისხის ამაღლება; ინსტიტუტში ახალგაზრდების მოზიდვა და მათ განვითარებაზე ზრუნვა; კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელება და დანერგვა სხვადასხვა დარგებში. ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობს ტრადიციული სამი ძირითადი მიმართულებით: მართვის თეორია, მართვის სისტემები და მოწყობილობები, მათ შორის მართვის პროცესები ენერგეტიკულ სისტემებში, და ინფორმატიკა.